

სიმონ
ჯანაშვილი
ბიობიბლიოგრაფია



დეცემბერი 1976

Симон
Джанашиа

(1900~1947)
Биобиблиография



Уздарелъство «Мецниереба»
Тъилиси
1976

Նօմռն

X ՏԵՍԹՈՒԹՅՈՒՆ

(1900~1947)

ՑԱՌԱՅԻՐԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆ



Համոմպամլոն «մշակույթի համար»
Պատմութեան
1976

ავად. ს. განაშიას ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1923-1975 წლების მასალას: სამეცნიერო შრომებს, რეცენზიებს და გამოხმაურებებს ამ შრომებზე, ს. განაშიას რედაქციით გამოცემულ შრომებს, ლიტერატურას ს. განაშიას შესახებ.

ბიობიბლიოგრაფიაში მასალა განხლაგებულია ქრონოლოგიურად. ნაკვეთს წინ უძღვის ს. განაშიას სამეცნიერო და საზოგადო-ებრივი მოღვაწეობის მოკლე ნაკვეთი, ერთვის შრომების ანბანური და სახელთა საჭიებლები.

Биобиблиография академика С. Н. Джанашиа содержит материал, охватывающий 1923—1975 г.г. — Научные труды с указанием отзывов и рецензий на них, труды, изданные под редакцией С. Н. Джанашиа и литературу о нем.

В биобиблиографии материалложен в хронологическом порядке. Выпуску предписан краткий очерк научной и общественной деятельности С. Н. Джанашиа, прилагаются алфавитный указатель трудов и именной указатель.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: შ. დიდიგური (მთ. რედაქტორი), თ. დავითაძე, ვ. კუპრაძე, ვ. მახარაძე, ვ. თკუჩავა, მ. საბაშვილი, ა. ფრანგიშვილი, გ. ციციშვილი, ს. ხადური (მდივანი).

შემდგენლები: მ. ბარეკავა, ე. დოლიძე

რედაქტორები: ს. ხადური, ე. ხოშტარია

ბიბლიოგრაფიული რედაქცია თ. ნაკაშიძე

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Ш. В. Дзицангурি (глав. редактор), Ф. Ф. Давидая, В. Д. Купрадзе, В. В. Махалдiani, В. М. Окуджава, М. Н. Сабашвили, А. С. Прангишвили, Г. В. Цицишвили, С. А. Хадури (секретарь).

Составители: М. И. Баркова, Э. Г. Долидзе

Редакторы: С. А. Хадури, Э. В. Хоштария

Библиографический редактор: Т. Е. Накашидзе



აპალემიკოსი სიმონ ჯანაშია

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოქლე ნარკვევი)

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, აკადემიკოსი სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშია დაიბადა 1900 წლის 13 ივნისს მახარაძის რაიონის (ყოფ. ოზურგეთის მაზრის) სოფელ მაკეანეთში. სიმონის მამა ნიკო ჯანაშია იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და ეთნოგრაფი.

ნიკო ჯანაშიასა და მისი მეუღლის — ელენე მუჯირის, ნიკოს ერთგული მეგობრისა და თანაშემწის, უაღრესად გულისხმიერი და სათნო ადამიანის, ოჯახში მიიღო პატარა სიმონმა საფუძვლიანი პირველდაწყებითი განათლება, შეითვისა მშობლიური ქვეყნის, მისი წარსულისა და აწმყოს, ქართული კულტურის სიყვარული.

ახალგაზრდობის წლები სიმონმა ძირითადად აფხაზეთში გაატარა, საღაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ნიკო ჯანაშია.

1918 წელს ს. ჯანაშიამ დაამთავრა ქ. სოხუმის რეალური სასწავლებელი. ძე იგი გამოიჩინოდა განსაკუთრებული სიბეჭითით, გულმოდგინედ სწავლობდა საქართველოს წარსულს, ქართულ, რუსულ და უცხოურ მწერლობას, ეცნობოდა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ლიტერატურას.

ს. ჯანაშია ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა იმ დროს, როდესაც ერთი მხრივ, მარქსისტული მსოფლმხედველობა ვრცელდებოდა და თანდათან ეუფლებოდა ქართველი მოწინავე ახალგაზრდობის გონიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოში ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით დაარსდა უნივერსიტეტი, საღაც ქართველ ახალგაზრდობას მიეცა საშუალება უმაღლესი განათლება თვით საქართველოშივე მიეღო.

ს. ჯანაშია იყო თბილისის უნივერსიტეტის პირველი მიღების სტუდენტი. იგი უნივერსიტეტში შევიდა, როგორც ფართო განათლების და ინტერესების მქონე, თეორიულად მომზადებული, სავსებით მოწიფული ახალგაზრდა. მას ამ დროისათვის უკვე შეთვისებული ჰქონდა მარქსიზმის თეორიული საფუძვლები, იცნობდა მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, ქართველ მარქსისტთა ნაშრომებს.

რაც შეეხება ს. ჯანაშიას სამეცნიერო ინტერესებს, მათი მრავალმხრივობა იქიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტში შესვლისთანავე მის წინაშე დაისვა საკითხი რომელი განხრა აერჩია — ისტორიული თუ საენათმეცნიერო. ს. ჯანაშიამ ერთდროულად ორივე განხრით დამთავრა უნივერსიტეტი.

ქართულ უნივერსიტეტში ს. ჯანაშიამ გამოჩენილ მეცნიერთა — ივ. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის და სხვათა ხელმძღვანელობით მიიღო საფუძვლიანი ისტორიულ-ფილოლოგიური და საენათმეცნიერო მომზადება, გამოიჩინა მეცნიერული კვლევის დიდი უნარი. ივ. ჯავახიშვილის წარდგინებით იგი დატოვეს კიდეც უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. მან წარჩინებით ჩააბარა სადოქტორო გამოცდები და 1926 წ. მოიწვიეს უნივერსიტეტში აფხაზური ენისა და საისტორიო წყაროთმცოდნების კურსების წასაკითხად. ამგვარად, ს. ჯანაშია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის, რომელთაც წილად ხვდათ აქვე პედაგოგიური მოღვაწეობა.

1930 წელს ს. ჯანაშია აირჩიეს დოცენტად, 1935 წლიდან კი პროფესორად. ამავე წლიდან იგი საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ დაინიშნა.

1938 წელს ს. ჯანაშიამ უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ს. ჯანაშია, როგორც ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლიდან გამოსული მეცნიერი, თავდაპირველად საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ხოლო შემდეგში საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბების აქტიური მონაწილე და მესვეურთაგანი, გვევლინება ქართული საბჭოური ისტორიული მეცნიერების და საერთოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დაწესების ერთ-ერთ სულისჩამდგმელად და დაუშრებული ენერგიის მქონე ნიჭიერ ორგანიზატორად.

ს. ჯანაშიამ შესძლო დაეცვა ივ. გავახიშვილის სკოლის მეცნიერული ტრადიციები ვულგარული სოციოლოგიზმისა, ნიპილიზმისა და საქართველოს ისტორიის სხვა ჯურის გამყალბებლებთან პრინციპულ ბრძოლაში და ახალ საფეხურზე აეყვანა ქართული ისტორიული მეცნიერება.

ახალგაზრდა ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ წინა თაობათაგან მდიდარი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა მიიღო, მაგრამ მის წინაშე მეტად დიდი და საპატიო ამოცანა იდგა — საქართველოს ისტორიული წარსულის ისტორიულ-მატერიალისტური თვალთახედვით გამართვა. ამ საქმის შესრულება ძველი და ადრეული შუასაუკუნეებს ისტორიის მიმართ წილად ხვდა ს. ჯანაშიას. მარქსისტული მეთოდოლოგიით შესანიშნავად აღჭურვილი მკვლევარი, ბუნებრივია, პირველ რიგში ყურადღებას აქცევს საქართველოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა ცვლის საკითხს, სწავლობს საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას, ადგენს გვაროვნული საზოგადოების წიაღში კლასების ჩასახვა-განვითარების და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესებს, მათ ქრონოლოგიურ ფარგლებს, უჩვენებს საზოგადოების განვითარების ეტაპებს პირველყოფილი თემური წყობილებიდან ფეოდალური საზოგადოების გამარჯვებამდე. ამ პრობლემებს მიეძღვნა თავდაპირველად (1932—33 წწ.) საქართველოს ისტორიის კურსის „განაცვეთების“ სახით გამოცემული შრომები: „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში“, „ფეოდალური ურთიერთობისათვის საქართველოში“ და „ადრეული ფეოდალიზმი“. შემდეგ ქვეყნდება ორი მონოგრაფია იმავე პრობლემებზე: „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. ნარკვევი ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში“ (1935 წ.) და „საქართველო ადრეული ფეოდალიზაციის გზაზე“ (1937 წ.). ეს მონოგრაფიები, რომლებშიც შეჯამებულია დასმული პრობლემების ირგვლივ მკვლევრის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები, წარმოადგენდნენ ავტორის საღოქტორო დისერტაციას.

ენობრივი და ეთნოგრაფიული მასალების თუ წერილობითი წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით, ს. ჯანაშიამ დამაჯერებლად უჩვენა, რომ ქართველმა ტომებმა, ისევე, როგორც სხვა ხალხებმა, გაიარეს გვაროვნული წყობილების საფეხური, რომლის წიაღშიც იშვა კლასობრივი საზოგადოება.

ქართველ ტომებში საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემების კვლევისას ს. ჯანაშია მარჯველ

იყენებს მის ხელთ არსებულ არქეოლოგიურ მასალებსა და წერილობით წყაროებს (ძველ აღმოსავლურს, ანტიკური ხანის ძეგლებს), რომელიც მიუთითებენ საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე საზოგადოების განვითარებასა და სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობაზე. იგი ხელმძღვანელობს მარჯვიშიმც იმ დებულებით, რომლის თანახმადაც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის პირველი ფორმა, საზოგადოების კლასებად დაყოფის პირველი ფორმა მონობაა, რომელიც განვითარების ადგილობრივი სპეციფიკური პირობების წყალობით ზოგან მონათმფლობელურ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სახეს იღებს, როგორც, მაგ., რომსა და საბერძნეთში, სხვაგან კი ადრევე ფეოდალიზმში გადადის. „რამდენადაც დღეს-დღეობით ამის თქმის უფლება გვაქვს, — ალნიშნავს ს. ჯანაშია, — საქართველოში მეორე მოვლენას ჰქონდა ადგილი... მიუხედავად მონობის განსაკუთრებული მნიშვნელობისა ქართველ ტომთა უძველეს ისტორიაში, არ ჩანს, რომ იგი აქ მთლიან ფორმაციად ჩამოყალიბებულიყო. გვაროვნულ წყობილებას აქ ფეოდალიზმი სცვლის“ (შრომები, II, გვ. 131).

იბერიის ბარის ნაწილის შესახებ ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ცნობების დეტალური ანალიზის საფუძველზე ს. ჯანაშია ასკვნის: „ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს წინაშე თავისებური კლასობრივი (რა თქმა უნდა, ჯერ ჩამოყალიბებელი და განუვითარებელი) საზოგადოებაა წარმოდგენილი“ (იქვე, გვ. 147). ანალოგიური ვთარება ესახება ს. ჯანაშიას დასავლეთ საქართველოშიც — კოლხეთში.

გარდა სტრაბონის ცნობის ანალიზისა, ს. ჯანაშია გამოდის სხვა მონაცემებიდანაც, კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონიდან, ნუმიზმატიკური ფაქტებიდან, რომელიც ფართო ვაჭრობაზე (საშინაოსა და საგარეოზე) მიუთითებდნენ, და ალნიშნავს: „ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უკვე საქმაოდ აღრე და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ კი მეოთხე საუკუნიდან ქ. წ. ბარის ქართველ ტომების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა მომხდარიყო. მატერიალური წარმოების წესი იმდენად განვითარებული ჩანს, რომ შეუძლებელია იგი ძველი გვაროვნული წყობილების საჭარმოო ურთიერთობის ჩარჩოებში დატეულიყო... ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის ეს ჩარჩო უკვე გარღვეულია და ჩვენს თვალწინ უკ-

ვე ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობის სურათი იხატება“ (იქვე, გვ. 128).

ასე წერდა ს. ჯანაშია ჯერ კიდევ 1932 წ. შემდეგ იგი განაცრა-
ძობს მუშაობას სტრაბონისეული იბერიის საზოგადოების შეს-
წავლაზე, კერძოდ, არკვევს სტრაბონთან მოხსენებულ საზოგა-
დოებრივი ფენების — „გენეგბის“ — (სამეფო დინასტია, ქუ-
რუმები, თავისუფალი მეთემები და მდაბიონი) აღგიღსა და
როლს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. „ეს
არის გარდამავალი ტიპის საზოგადოება, — წერს ს. ჯანაშია
1936 წ. — აქ წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს.
თავდაპირველმა დიფერენციამ მოგვცა გაბატონებული ჯუ-
ფი ქურუმებისა, რომელიც მონათმფლობელთა კლასს ეკუთვნიან
და რომელთა პოლიტიკური ბატონობის ფორმაც განსაზღვრული
თეოქტიატის ხასიათს ატარებს. მაგრამ წარმოების მონათმფლო-
ბელურ წესს, რომელიც წარმოადგენდა ქურუმთა ბატონობის სა-
ფუძველს, არ მიუღია, როგორც ჩანს, საქართველოში ისეთი ფარ-
თო ხასიათი, რომ ის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირ-
კველი გამხდარიყო, როგორც ეს მოხდა, ვთქვათ, რომსა და სა-
ბერძნეთში. გვაროვნული საზოგადოების ერთმა ნაწილმა (მესა-
მე გენე, „ერი“) დიდხანს, ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო
გაბატონებამდე, შეინარჩუნა ერთგვარი ეკონომიური დამოუკიდე-
ბლობა და ნაწილი თავისი ძველი პოლიტიკური უფლებებისა.
უფრო სუსტად და აქა-იქ ამ წრეშიც ვხვდებით მონის შრომის
გამოყენებას, სოციალურსა და პოლიტიკურ სფეროში — გვაროვ-
ნული წყობილების ნაშთებს, მაგრამ ეკონომიურად მაინც ამ ფე-
ნის უმრავლესობა წვრილ მესაკუთრე მწარმოებლებისაგან შესდ-
გება. ყველაზე გვიან ამ საზოგადოებაში ისახება ფეოდალური წე-
სი წარმოებისა, რომელიც თანდათან უპირისპირდება მონათმფ-
ლობელურს“ (შრომები, I, გვ. 170).

ერთადროულად ს. ჯანაშია აღგენს სახელმწიფო ხელისუფლე-
ბის ხასიათსაც. აღრევე (1932 წ.) იგი ეხებოდა სამეფო ხელისუფ-
ლების წარმოშობის საკითხს და აღნიშნავდა, რომ საქართველო-
ში ფართოდ გავრცელებულ სატაძრო მეურნეობაში დიდი მასშ-
ტაბით მიწების გამოყენების შედეგად „ჩნდება აუცილებლობა ისე-
თი აპარატის შექმნისა, რომელიც ტაძრების მრავალრიცხვან
მონებს მორჩილებაში იყოლიებს. ჩნდება მეფის ხელისუფლება
და სახელმწიფო და ჩვენ ვფიქრობთ, მაშასადამე, რომ მეფის ხე-

ლისუფლება ქართველ ტომებში მონათმფლობელთა ინტერესებისა
და საჭიროებათა ნიაღაგზე აღმოცენდა უპირატესად” (შრომები, II,
გვ. 164—165).

უფრო გვიან, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, ს.
ჯანაშია კიდევ უფრო აზუსტებს ამ თეზისს. იგი კვლავ ჩამოთ-
ვლის სტრაბონისდროინდელ იძერის ბარის საზოგადოების სხვა-
დასხვა ფენას — მეფესა და „სეფეშულებს“, ქურუმებს, თავი-
სუფალ მეთემეცებს („ერი“) და მდაბიურებს ანუ „გლეხებს“
„ლაოები“, როგორც საზოგადოების ძირითად სოციალურ ჯგუ-
ფებს, ასახელებს მონებსაც, როგორც ექსპლოატირებულ საზოგა-
დოებას და დასძენს: „ვისაც ყველაზე მეტი მონა ჰყავდა, ყველა-
ზე მდიდარიც ის იყო. უდიდესი მონათმფლობელები მეფე და
ქურუმები იყვნენ. ქვეყნის ბატონ-პატრონობაც მეფესა და ქუ-
რუმებს ეკუთვნოდათ. ამიტომ ვამბობთ, რომ იმდროინდელი ქარ-
თლი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო“ (საქ. ისტ., 1946, გვ.
76). ასეთივე საზოგადოებრივი წყობილება იყო, ს. ჯანაშიას აზ-
რით, კოლხეთშიც (იქვე).

ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების და ხასია-
თის შესწავლაში დიდი როლი შეასრულეს 30-იანი წლების მეო-
რე ნახევარსა და 40-იანი წლების დასაწყისში გაშლილ არქეო-
ლოგიურ სამუშაოთა, განსაკუთრებით კი მცხეთის გათხრების
შედეგებმა, რომლებმაც აშეარად აჩვენეს იმდროინდელი საქარ-
თველოს საზოგადოების განვითარებული კლასობრივი სახე.

ამრიგად, ს. ჯანაშია ქართულ სახელმწიფოებრიობას მონათ-
მფლობელურად მიიჩნევს; ამასთან, იგი მონათმფლობელობას აღი-
არებს, როგორც გაბატონებულ ურთიერთობას (შრომები, I, გვ.
281, საქ. ისტ., გვ. 76), შემდეგ ლაპარაკობს „მონათმფლობელურ
წყობილებაზედაც“ (საქ. ისტორია, გვ. 83) და იმასაც აღნიშნავს,
რომ „საქართველოში მონათმფლობელობა... ფეოდალიზმით შეი-
ცვალა“ იქვე, გვ. 86), რაც განსხვავდება ადრე გამოთქმული
თვალსაზრისისაგან, მაგრამ ს. ჯანაშიას კონცეფციით, რომელიც წი-
თელი ზოლივით გასდევს მის ყველა ნაშრომს (საქ. ისტორიის
სახელმძღვანელოს ჩათვლით, სადაც საზოგადოების განვითარების
სურათი რამდენადმე სქემატურად და სახელმძღვანელოსთვის შე-
საფერისად უფრო კატეგორიული მსჯელობის სახით არის წარმო-
დგენილი), მონათმფლობელობა არსებითად იყო სახელმწიფოს პო-
ლიტიკური ფორმის განმსაზღვრელი წყობა («უკლად»), რომელიც

ელფერს აძლევდა იმდროინდელ საზოგადოებასაც, და არა მთელი საზოგადოების მომცველი სოციალურ-ეკონომიური ფორმაცია.

ამაში ეჭვს არ სტოკებს. ის, რომ ს. ჯანაშიას ფეოდალიზმი ყოველთვის გამოჰყავდა არა იმდენად მონათმფლობელური ელემენტებიდან, რამდენადაც უშუალოდ გვაროვნული წყობილების დროინდელი საზოგადოებრივი ფენებიდან.

ფეოდალურ ელემენტებს, როგორც აღინიშნა, ს. ჯანაშია უკვე სტრაბონისეულ საზოგადოებაში ხედავდა ე. წ. „მეოთხე გენეს“ ანუ „ლაოების“ სახით, რომელთა ექსპლოატატორებადაც იმთავითვე გვევლინებიან „სეფერულები“ (სამეფო სახლი). მაგრამ ფეოდალიზაციის პროცესი ავტორის თვალსაზრისით უფრო მკვეთრად იმდროინდელი საზოგადოების სხვა ფენაში — „ერში“ იჩენს თავს: „ფეოდალური ურთიერთობა ისახებოდა და ვითარდებოდა იბერიის საზოგადოების ძირითად ფენაში, სტრაბონის „მესამე გენეში“, ქართულ „ერში“. ამ „მესამე გენეს“, „ერის“ მთელი შემსევდროინდელი ისტორია იმაში მდგომარეობს, რომ იგი სულ უფრო და უფრო მკვეთრად და შეურიგებლად იყოფა ორ ბანაკად: უმრავლესობა თანდათან ჰკარგავს თავის ძველს ძირითად ქონებრივსა და სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს და „მეოთხე გენეში“, „გლეხობაში“ გადადის (თავის მდგომარეობის მიხედვით). უმცირესობა კი ჰქმნის იმ კლასს, რომელსაც ჩვენ ფეოდალებს ვეძახით. ამ კლასს გარკვეული ურთიერთობა უჩნდება ძველს გაბატონებულ წოდებასთან — ქურუმებთან და მეფესთან. ის ურთიერთობა თანდათან იღებს მტრულ ხასიათს ქურუმთა მიმღერთ, ხოლო მონარქიისათვის იგი თავდაპირველი მსახურისა და მოკავშირიდან მთავარ სოციალურ საყრდენად იქცევა, როცა იუით მონარქია ფეოდალურ პოლიტიკურ ორგანიზაციის ხასიათს „ღერძებს“ (შრომები, I, გვ. 171; შდრ.: საქ. ისტ., გვ. 87—90).

„მესამე გენეს“ დაშლის საქმეში ს. ჯანაშია დიდ ყურადღებას აქცევს მოლაშქრეობის მომენტს და სათანადო სამხედრო აღმურვილობის — „მძიმე აბჭრის“ ხმარებაში შემოსვლას, ე. ი. საბოლოო ანგარიშში, ეკონომიურ ფაქტორს. ავტორი საგანგებოდ მანიხილავს წყაროთა ირიბ მონაცემებს ჯარის ორგანიზაციის შესახებ და აღგენს მის შესაბამის საჭარმოო ძალთა განვითარებისა და საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის ხარისხს, არაერთ ყმის შრომის უპირატესობას საქართველოსათვის დამახასიათებელ ინტენსიური მეურნეობის პირობებში (მეცნახეობა, მე-

პროცესს ს. ჯანაშია უკავშირებს ახალ აღმინისტრაციული ერთეულების ჩა-
მოყალიბებას, სამხედრო-სალენო ურთიერთობის განვითარებას, ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული ფენის — წარჩინე-
ბულთა ანუ აზნაურთა წოდების გაფორმებას. ამავე პროცესთან
მჭიდრო კავშირში განიხილავს მეცნიერი ქრისტიანობის, როგორც
ახალი საზოგადოების იდეოლოგიის შემოსვლასა და გაბატონებას,
იძლევა მისი გავრცელების შინაგან და საგარეო პირობების ანა-
ლიზს, აშუქებს ქრისტიანობის მნიშვნელობას კულტურის წინს-
ვლაში.

ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვების ხანად ს. ჯანაშიას მი-
აჩნია VI საუკუნე, როდესაც ქართლის წარჩინებულმა აზნაურებ-
მა თუ ერისთავებმა უცხო ძალასთან (ირანელებთან) კავშირში
ბოლო მოუღეს ძველი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წარ-
მომაღვენელ სამეფო ხელისუფლებას და შეუვალობა მოიპოვეს —
დაიმკვიდრეს საშვილიშვილიდ მამულები და სამოხელეო თანამ-
დებობანი.

შეორე დიდი პრობლემა, რომელსაც ს. ჯანაშია თავიდანვე
სწავლობს, არის ქართველი ტომების ეთნოგენეზისი და ქართული
სახელმწიფოებრიობის უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენ-
ტრების ლოკალიზაციის საკითხი. ამ მიმართულებით კვლევის ძი-
რითადი შედეგები მოცემულია 30-იანი წლების მიწურულსა და
40-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებულ შრომებში: „ურარ-
ტუ“ (1937 წ.), „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“ (1937 წ.),
„უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის
შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ძალის სინათლეზე“
(1940 წ.) და სხვა. ამ პრობლემების კვლევისას ს. ჯანაშია ამოდი-
ოდა იმხანად ევროპულ და საბჭოთა მეცნიერებაში გავრცელე-
ბულ კონცეფციებან. 1937 წ. ს. ჯანაშია წერდა: „ქართული კულ-
ტურის ფესვები ღრმად არის გადგმული შორეულ საუკუნეებსა
და სივრცეში. მსოფლიოს ცნობილ მეცნიერთ ფრ. პომელს, ე. მა-
იკერს, კიპერტს, ლემან-ჰაუპტს, ლეონრამანს, აკად. ნ. მარს, აკად.
ტურაევს და მრავალს სხვას არაერთგზის გამოუთქვამთ მოსაზრე-
ბა, რომ ქართველი ტომები მემკვიდრეობითს კავშირში იმყოფე-
ბიან წინა აზიის იმ უძველეს მოსახლეობასთან (სუმერები, ხეთე-
ბი, მიტანელები, ხალდები და სხვა), რომელმაც შექმნა საკაცობ-
რიო კულტურის ყველაზე აღრინდელი კერები. მართლაც, ქართუ-

ლი კულტურის ისტორიულად მოცემული შედგენილობა ამჟღავნებს აღნიშნული კავშირის მრავალგვარსა და მრავალრიცხვან ფაქტებს. ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლა ამიტომ შეუძლებელია ამ კულტურის წყაროსთვალის (სათავის) ყოველმხრივი გათვალისწინების გარეშე“ (შრომები, III, გვ. 1). შემდეგ: „ქართული ენის კავშირი წინა აზიის უძველეს კულტურულ ენებთან — სუმერულთან, ჰარულთან (იგივე ხურული ანუ სუბარული), ურარტულთან მუღავნდება უმნიშვნელოვანეს ენობრივ კატეგორიებში (მორფოლოგია, ლექსიკა...). მაგრამ ამ მხრივ ნამდვილი მეცნიერული კვლევა მხოლოდ ეხლა იშლება. უწინარეს ყოვლისა უნდა ეჭვმიუტანლად წაკითხულ იქნას მწერლობის ის ძეგლები, რომელიც საკმაოდ დიდი რაოდენობით დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა, კერძოდ ხალდებმა...“ (შრომები, II, გვ. 13).

ამგვარად, საკითხის ასეთი დაყენება, როგორც ითქვა, პირ-ჯაპირ შეესაბამებოდა იმდროინდელ მეცნიერულ დონეს და ამოცანებს, რომელიც იმჟამად იდგა ქართული საბჭოთა მეცნიერების წინაშე.

ქართველოლოგის დარგში ამ მიმართულებით მდგომ ამოცანებზე ივ. ჭავახიშვილი 1937 წელს წერდა: „ცნობილია, რომ მსოფლიო მეცნიერება უაღრესად დაინტერესებულია ქართველური და კავკასიური ენების ბუნებით და მათი სხვა ენებთან, მათ შორის, ხალდურ, ხეთურ და სუმერულთანაც, ნათესაობის საკითხებით, მათი თავდაპირველი სამშობლოსა და მერმინდელი გადმოსახლების ისტორიით... ამაზე უკვე მრავალი გამოკვლევაა გამოქვეყნებული, უმთავრესად უცხოეთში... საბჭოთა კავშირში და ოვით საქართველოშიც. სრულებით ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული საკითხებით მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის დაწესებულებანი და ცალკეული ქართველი მეცნიერებიც იყვნენ დაინტერესებული. მეტის თქმაც შეიძლება: ამ პრობლემების მეცნიერული შესწავლა ჩვენს უპირველეს მოვალეობასაც კი უნდა შეადგენდეს“... (ენიმკის მოამბე, I, 1937 წ. გვ. 1).

წარმართავს რა მუშაობას ამ მიმართულებით, ს. ჭანაშია თავის მხრივ ეროვნული წერილობითი წყაროების მონაცემებში ეძიებს ქართველების წინა აზიის უძველეს ხალხებთან ნათესაობის, მათგან წარმომავლობისა და ქართველ ტომთა საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთი რაიონებიდან გაღმოსვლის დადასტურებას, მაგრამ 40-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს ტერი-

ტარმოებულ ფართო არქეოლოგიურ სამუშაოთა შედე-
გები აუცილებელს ხდიან ქართველ ტომთა წარმომავლობის
საკითხის გაშუქებას ახალი ზონაცემების გათვალისწინებით. ამის-
საფუძველზე ს. ჯანაშიას მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს პრობ-
ლემის გადაწყვეტაში.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელიც 40-იანი წლების დასაწყისში ქვეყნდება, ჯანაშია ქართველ ტომებს გენეტიკურად უკავშირებს წინა აზიაში ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დამდეგისათვის ცნობილ მკვიდრ მოსახლეობას — ხეთა-სუბარებს. უკანასკნელთ, მისი აზრით, ეჭირათ ტერიტორია ჩრდილო მესოპოტამიიდან კავკასიონამდე, ე. ი. დღევანდელი კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიის ჩათვლით. ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხთა სახელმწიფოების (თვით ხეთის სამეფოს, მიტანის) ძლიერების დაცემის შემდეგ II ათასწლეულის დამდეგისათვის ხეთა-სუბარების მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროდ დაიქ-საქსა. მე-9—8 სს. მათ შექმნეს ახალი ძლიერი სახელმწიფო — ურარტუ, სადაც გადმოინაცვლა ძველი ხეთურ-სუბარული სახელმწიფოებრიობის ტრადიციამ. ხოლო უკანასკნელის დამხობის შემდეგ სახელმწიფოებრივი ცხოვრება გრძელდება უფრო ჩრდილო-ეთით, კერძოდ, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. ამის შესახებ ს. ჯანაშია წერდა: „მეექვსე საუკუნის დამდეგს ძვ. წ. სუბარეთის ჩრდილოეთ რაიონების, კერძოდ, დღევანდელი საქართველოს მოსახლეობა და მისი მეურნეობა იმდენად იყო დაწინაურებული, თომ სახელმწიფო ორგანიზაციისათვის აქ საჭირო ნიადაგი არსებობდა. ამიტომა რომ როცა ურარტუს სახელმწიფო დაემხო და მისი ცენტრი ვანის ტბის პირას მოისპო, ამით ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ მოშლილა. სახელმწიფოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ მოშლილა. სახელმწიფოებრივ-ა ცენტრებმა ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლეს მხოლოდ“ (საქ. ისტორია, გვ. 53).

აღმოსავლურ ქართული სახელმწიფო ბრიობის გენეზისი
ს. ჯანშიას ადრეც წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ხეთურ-სუ-
ბარულ სამყაროსთან დაკავშირებულ ოუბალ-სუბარის და შემდეგ
სუბი-მანას, ანუ სასპერ-საბერის (სისპირიტიდა), იგივე მერმინ-
დელი იბერის (იბერია-ქართლის) მონაცემება და ამ გაერთია-
ნებათა პოლიტიკურ-კულტურული ცენტრების თანდათან სამხრე-
თიდან ჩრდილოეთისაკენ გადანაცვლება თუ დასახელებულ ხალხ-
თა ახალი პოლიტიკური წარმონაშენების გაჩენა (მრომები, II,

გვ. 64, 90—91, 97 და სხვა). აღმოსავლურქართული სახელმწიფო წარმონაქმნის ტერიტორია ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებში (VI ს. ძვ. წ.) ს. ჯანაშიას ლოკალიზებული აქვს ჰეროდოტეს ცნობებით სასპერების მიწა-წყლის შესახებ, ხოლო უფრო გვიაჩი პერიოდისათვის ამ სამეფოს გულისხმობს მცხეთა-არმაზის რაიონში. ასე წარმოედგინა ს. ჯანაშიას ის „ხიდი, რომელიც აერთებს ისტორიულ იბერია-ქართლს ძველს აღმოსავლეთთან“ (იქვე, გვ. 4).

ამგვარად, ისტორიული მასალის გააზრების საფუძველზე ს. ჯანაშია თანდათან მივიდა ქართველ ტომთა ავტოქტონობის და უძველეს სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ცენტრების გადამონაცვლების თვალსაზრისთან, რაც არ გამორიცხავს ტომთა გარეული ტალღების მოძრაობასაც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იგი ენობრივ მასალას, საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილ ტოპონიმიკას, რომელიც მეტყველებს აქ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების ტომთა ცხოვრებას.

რაც შეეხება საკუთრივ ქართველ ტომთა ეთნოგენეზისის საკის, უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე წინა და მცირების უძველესი ისტორიის და ძველი ენების შესწავლის დარგში. მუშაობის გაღრმავებამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა. ჯანაშიას მიერ გამოთქმულ თავის დროის მეცნიერული დონის შესაფერის თვალსაზრისში, თუმცა პრობლემა ქართველ ტომთა უკანირისა (ნათესაობისა თუ კონტაქტების) სამხრეთის მთელ რიგ კუნიკურ ჯგუფებთან და ჩრდილოეთ კავკასიური არეალის ტომიურთან დღესაც მთელი სიგრძე-სიგანით დგას და შემდგომი კვლეული საგანს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულ პრობლემების კვლევასთან ერთად და მათთან კავშირში ს. ჯანაშიამ ბერძნულ-რომაული, სომხური და საკუთრივ ქართული წყაროების საფუძვლიანი შესწავლისა და ფართოდ კუთხიყენების შედეგად მნიშვნელოვნად წინ წასწია საქართველოს ქალი (ანტიკური) და ადრეფეოდალური ხანის პოლიტიკური ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის კვლევა-ძიება. მან მოგვცო თანმიმდევრული სურათი ამ დროის როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური თავგადასავლისა, აქ უახლესი წყობრიობის განვითარებასთან კავშირში.

აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის სამეფოს) პოლიტიკური ისტორიის ფაქტების გადმოცემისას ს. ჯანაშია ემყარება ძველ

ქართული ისტორიული ტრადიციის მონაცემებს, რომელნიც უძველეს კრონულ წერილობით ძეგლებში — „მოქცევად ქართლისად“ და „ნინოს ცხოვრებაშია“ დაცული და გვაწვდიან ცნობებს, ფარნავაზისა და ფარნავაზიანთა მეფობის შესახებ „მცხეთის სამეფო-ში“ (ქართლში), ამ უკანასკნელის შეზობელ ქვეყნებთან, კურძოდ, სომხეთთან ურთიერთობაზე და სხვა.

ს. ჯანაშია ძირითადად ჰეროდოტეზე დაყრდნობით არვევეს კოლხეთის პოლიტიკურ თავგადასავალს I ათასწლეულის შუა ხანებში — მის დამოკიდებულებას აქემენიდების სახელმწიფოზე. შემდეგდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებიდან გაშუქებულია ურთიერთობა პონტოს სამეფოსთან.

ს. ჯანაშია საგანგებოდ ეხება კოლხეთის შინაგან ეთნიკურ პოლიტიკურ სტრუქტურასაც. „კოლხი“, ავტორის აზრით, ზოგადი მნიშვნელობის ცნებაა, თვით კოლხეთი კი მრავალტომიანი (თუ მრავალთემიანი) სამყარო იყო. მისი მთლიანობა დამყარებული იყო არა ტომთა კავშირზე, არამედ წამყვანი და სოციალურად თავისთავად რთული ეთნიკური ელემენტის პოლიტიკურ პრიორიტეტში... ეს წამყვანი ეთნიკური ელემენტია, რომ საერთო საჩელი აქტევს ნთელ ტერიტორიას. ასეთი სახელებია: „კოლხეთი“: შედეგში კი „ეგრისი“ და „ლაზიკა“ (იქვე, გვ. 19—20).

კოლხეთის ძველი ისტორიის კვლევისას, ს. ჯანაშია ყურადღებას ამახვილებს აქ არსებულ ბეჭედნულ კოლონიებზე, რომელნიც ბერძნებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სავაჭრო ურთიერთობის ნიადაგზე წარმოიქმნენ. მათი გაჩენა მაჩვენებელია ამ შოსახლეობის შედარებით მაღალი ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონისა, რომელიც ქმნიდა პირობებს ადგილობრივი ქალაქების გაჩენისათვისაც, განსაზღვრავდა ფულის ტრიალს და ადგილობრივი მონეტის მოჭრის საჭიროებას. ეს მონეტა — „კოლხური თეთრი“, ავტორის დაკვირვებით, შინაგან სააღებ-მიცემო ურთიერთობას ემსახურებოდა (იქვე, გვ. 125—127, 414). ამავე დროს, ფულის მოჭრა განხილულია როგორც სახელმწიფოს პრე-როგატივა. (იქვე, გვ. 157).

ვრცლად და დეტალურად აქვს შესწავლილი ს. ჯანაშიას საქართველოს რომთან ურთიერთობის საკითხები, მისგან იბერიის თუ კოლხეთის დამოკიდებულების ფორმები.

ამ ხანისა და უფრო ადრეული პერიოდის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობათა ასპექტში ყურადღება გამახვილებულია გა

რეშე ძალთა ეკონომიურ და სტრატეგიულ ინტერესებზე საქართველოში, ადგილობრივი რესურსების და ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობის მნიშვნელობაზე. აღნიშნულია, რომ საგარეო ურთიერთობანი და დამოკიდებულებანი აჩქარებენ შინაგან სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას.

ძირითადად ბერძნულ-რომაულ წყაროებზე დაყრდნობით ს. ჯანაშია დეტალურად არკვევს ანტიკური ხანის იძერისა და ოლქეთის ეთნიკურ და პოლიტიკურ საზღვრებს, მათ ცვლას პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ს. ჯანაშია აღრეფეოდალურან განვითარებულ ფეოდალიზმში გარდამავალი ხანის სოცილური და პოლიტიკური ისტორიის საკითხს. საგანგებოდ აქვს ს. შესწავლილი არაბთა ბატონობის ხანა, ამდროინდელი საშილო ვითარება და საგარეო ურთიერთობანი, „აფხაზთა სამეფოს“, ა. ა. დასავლეთ საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნა ისტორია; სპეციალურ ნაშრომს უძღვნის მკვლევარი პატარა ყოფილობის ბუნებას, ფეოდალიზაციას პროცესის გაღრმავებას (მართლას მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში) და სხვა. იგი სწავლობს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის მოვლენებსაც.

საფუძვლიანი კვლევის შედეგია ს. ჯანაშიას ნარკვევი საქართველოს სამხრეთი პროვინციის — ტაო-კლარჯეთის თავგადასაცვლისა და ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიის შესახებ, ამჟღვეულიც წარმოადგენდა მკაცრ და პრინციპულ პასუხს ზოგიერთ შეცნიერის მიერ ამ მხარის წარსული ისტორიული მოვლენების დამახინჯების ცდებზე.

ს. ჯანაშიას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია არც გვისა ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალური თუ კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანები მოვლენები, მაგ., ამ ხანის ისტორიოგრაფიის თუ სწავლა-აღზრდის საკითხები („ვახუშტი ქართლი ფეოდალიზმის შესახებ“, „შეხედულება ფეოდალური აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში“); იგი იკვლევს ზოგიერთი ქართული გვარის ისტორიასაც („ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის“, „ეგნატე ინგორიშვილის გენეალოგიისათვის“). ეს სამუშაო შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერლების ნ. ბარათაშვილისა და ეგნატე ნინოშვილის (ინგოროვას) საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. XIX საუკუნის ისტორიულ-კულტურულ მოვლენათა წრე გაშუა თ. იმონ ჯანაშია

ქვებულია ს. ჯანაშიას ნაშრომში: „გ. შარვაშიძე, ნარკვევი აფხაზე-
თისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან“.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი ს. ჯანაშიას თვალსაზრისი ქარ-
თველი ერის წარმოშობის შესახებ. მას თანმიმდევრულად ნაჩვე-
ნები აქვს ქართველ ტომთა კონსოლიდაცია უძველეს დროიდან-
ვე, ქართველ ხალხში ეროვნული, პოლიტიკური და კულტურუ-
ლი ერთიანობის შეგნების გაჩენა და განმტკიცება ქართული სა-
ხელმწიფოებრიობის და ეკონომიკური ცხოვრების განვითარების
კვალდაკვალ და ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბება.
ს. ჯანაშიამ უარყო მცდარი აზრი იმის შესახებ, თითქოს ქართველი
ერი მხოლოდ XIX ს. პროდუქტი იყო და კონკრეტულ ფაქტებზე
აჩვენა, რომ ერი ყალიბდება ადამიანთა ხანგრძლივი და რეგულა-
რული ურთიერთქავშირის შედეგად.

აღსანიშნავია, რომ ს. ჯანაშია საქართველოს ისტორიის საკი-
თხების, განსაკუთრებით კი ძეველი ისტორიის მოვლენების კვლე-
ვისას ყოველთვის მარჯვედ იყენებდა ენობრივ მასალას. თითქმის
ყველა მის ისტორიულ ნაშრომში ჩანს მისი, როგორც სპეცია-
ლისტი ენათმეცნიერის ნაკვლევი, რაც აძლევს მას ისტორიულ
მოვლენებში ღრმად ჩაწვდომის საშუალებას, განსაკუთრებით იმ
შემთხვევებში, როცა ისტორიული მასალის ნაკლებობა იგრძნობა.
ს. ჯანაშიას დიდი ინტერესი ქართულ ისტორიულ-ენობრივ ფაქ-
ტებისადმი, განსაკუთრებით კი ჩრდილოკავკასიურ ენობრივ სამ-
ყარისადმი და ამავე დროს საქართველოს ისტორიულ წარსულის
გააზრება კავკასიის სამხრეთი რაიონების და წინა აზიის ქვეყნე-
ბის უძველეს ისტორიასთან მიმართებაში, მეტყველებს მკვლევრის
ფართო მეცნიერულ დიაპაზონზე, მოწმობს მის მისწრაფებას —
წარმართოს მთელი კავკასიის მასშტაბით და ამ რეგიო-
ნის ხალხთა ისტორიულ-კულტურული პროცესები ურთიერთქავ-
შირში გაიაზროს.

ს. ჯანაშიას საენათმეცნიერო შრომებიდან ზოგიერთი გამო-
კვლევა საგანგებოდ შეეხება ლინგვისტურ საკითხებს, ქართველუ-
რი და ჩრდილო კავკასიური, კერძოდ, აღილური (ჩერქეზული) ენე-
ბის ნათესაობას. აქვე გაშუქებულია ქართველი და კავკასიელი
ხალხების ისტორიული ურთიერთობა, ამ უკანასკნელთა თავდა-
პირველი განსახლების საკითხები და სხვა.

ძნელად მოიძებნება საქართველოს. ძველი ისტორიის რაიმე
მნიშვნელოვანი მოვლენა ან ფაქტი, რომელიც მეცნიერს არ შე-

ენიშნა და მათზე ყურადღება არ გაემახვილებინა. მართალია, ბევრი მისი დაკვირვება ან დებულება მას მეტად ლაქონიურად, ხშირად მხოლოდ თეზისების სახით აქვს წარმოდგენილი, მაგრამ ეს დაკვირვებანი იმდენად ღრმად არის გააზრებული, რომ ავტორის ფუნდამენტურ ნაკვლევთან ერთად დღესაც არ კარგავენ თავის შეიშვნელობას და ხშირად წარმოდგენენ ამოსავალს ამა თუ იმ საკითხის მეცნიერულ შესწავლაში.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ იმ დიდ სამუშაოს, რომელიც ჩაატარა ს. ჯანაშიამ საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გასაშლელად. ბრწყინვალე შედეგები გამოიღო საქართველოს ძელი დედაქალაქის — მცხეთის ტერიტორიაზე მისი თაოსნობით დაგეგმილმა გათხრებმა, რომელთაც 1937—1940 წლებში ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო 1940 წლიდან ს. ჯანაშია ჩაუდგა სათავეში. ამ გათხრებმა დაადასტურა ბევრი იმ დებულებათაგანი, რომელიც ს. ჯანაშიას გამოთქმული ქონლა ქართული სახელმწიფოებრიობის უძველესი თავგადასავლის შესახებ. ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი, გააზრებული და ვანზოგადებული ს. ჯანაშიას მიერ აისახა მის უკანასკნელ შრომებში, მათ შორის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსათვის დაწერილ ნაკვეთში.

ს. ჯანაშია არა მარტო უშუალოდ ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ სამუშაოებს, არამედ როგორც საერთო ხელმძღვანელი და ხშირად არქეოლოგიური პუბლიკაციების რედაქტორი, მიმართულებას იძლევდა კიდეც იმ დროს საქართველოს უძველესი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქება-გადაჭრას.

ს. ჯანაშიამ სამეცნიერო კვლევა-ძიებასთან ერთად თავიდანვე შეორე დიდი ამოცანაც — საქართველოს ისტორიის სწავლების საქმის გასაუმჯობესებლად საუნივერსიტეტო კურსის თუ სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა დაისახა.

შემთხვევითი არ არის, რომ პირველი მისი ნაშრომები გვაროვნული წყობილებისა და სახელმწიფოებრიობის გენეზისის შესახებ ქვეყნდება საქართველოს ისტორიის კურსის „განაკვეთების“ სახით. ავტორს განზრახული ქონდა ეს კურსი გაემართა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, მაგრამ იმჯერად მხოლოდ სამი „განაკვეთი“ გამოიცა — უძველესი დროიდან ადრეული ფეოდალური შემთხვევის ისტორიის ჩათვლით. საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის შედგენის საქმეს ემსახურებოდა აგრეთვე ს. ჯა-

ნაშიას მიერ 1936 წელს გამოქვეყნებული კონსპექტის პროექტი — „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს.-მდე“.

ამავე მიმართულებით მუშაობის შემდგომი ეტაპი იყო საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს შედგენა, რომელიც 1943 წელს გამოქვეყნდა და შემდეგ ჩამდენჯერმე გამოიცა. ივ. ჭავახიშვილთან და ნ. ბერძენიშვილთან თანაავტორობით გამოცემული ეს სახელმძღვანელო, სადაც საქართველოს ისტორია მოყვანილია XIX ს. დამდეგამდე, იყო იმ დიდი ამოცანის ხორციელება, რომელიც ს. ჭანაშიამ თავიდანვე დაისახა მიზნად. იგი, როგორც ერთ-ერთი ავტორი (მას ეკუთვნის ნაკვეთი უძველესი დროიდან X ს-ის ჩათვლით) და რედაქტორი გვევლინება ამ სახელმძღვანელოს სულისჩამდგმელად, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა მისი მომზადების და გამოცემის მთელი სიმძიმე.

სახელმძღვანელოში შეჯამებულია საქართველოს ძველი და საშუალო საუკუნეების ისტორიის კვლევა-ძიებაში ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მიღწევები. იგი საერთოდ ასახავს იმდროინდელი საბჭოთა მეცნიერების განვითარების დონეს და სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა. მასზე აღიზარდა ჩვენი ახალგაზრდობის მთელი თაობა. სახელმძღვანელოს ავტორებს მთავრობის ჯილდო — სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ს. ჭანაშიას ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ საზრუნავს წარმოადგენდა როგორც ახალგაზრდა თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა, ასევე ისტორიკოსთა კადრების მომზადება. ეს იყო აღმავლობის გზაზე მდგარი ქართული ისტორიული მეცნიერების გადაუდებელი ამოცანა. ს. ჭანაშიამ შეარჩია და სამეცნიერო ასპარეზზე გამოიყვანა არა ერთი მუშაკი, როგორც საქართველოს ისტორიაში, ასევე მომიჯნავე დარგებში, განსაკუთრებით კი არქეოლოგიაში.

ს. ჭანაშიას აქტიური მონაწილეობით ხორციელდებოდა საქართველოში ყველა უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიება. მან, როგორც აღრე არსებული კავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე 1936 წ. შექმნილი ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორმა, ეს დაწესებულება ქართველობის მძლავრ კერად აქცია. 1939 წ. ს. ჭანაშია დაინიშნა სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილედ. მან უაღრესად

ქმედითი მონაწილეობა შინო საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბების საქმეში, რაც 1941 წელს განხორციელდა. ს. ჯანაშია იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი კიუე-პრეზიდენტი. საერთო ორგანიზაციულ ოონისძიებებში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად იგი ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგს. 1943 წ. ს. ჯანაშია აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ს. ჯანაშია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. 1946 წ. იგი აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მეცნიერებისა და ხალხს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის ს. ჯანაშია ორგზის იყო დაჯილდოებული ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით; მას ორგზის მიენიჭა სახელმწიფო პრემია (1943, 1947 წწ.).

ს. ჯანაშიამ მშობლიური ხალხის სამსახურს შესწირა თავისი სიჭი და სიცოცხლე. დაუღალავმა შრომამ აღრე გასტეხა ს. ჯანაშიას სუსტი ჯანმრთელობა. იგი 47 წლის ასაქში 1947 წლის 15 სემბერს გარდაიცვალა.

ხანმოკლე იყო ს. ჯანაშიას ცხოვრება, მაგრამ მან იმდენი ვაჟეთა საბჭოთა მეცნიერებისათვის, თავისი ქვეყნისათვის, რომ შადლიერმა ქართველმა ხალხმა ვალმოხდილი მამულიშვილი მთაწმინდის მიწას მიაბარა.

ე დ ი შ ე რ ხ ო შ ტ ა რ ი ა

АКАДЕМИК С. Н. ДЖАНАШИА

(Краткий очерк научной и общественной деятельности)

Выдающийся грузинский советский ученый, академик Симон Николаевич Джанашиа родился 13-го июля 1900 г. в сел. Макванети Махарадзевского района (бывш. Озургетского уезда). Отец Симона — Нико Джанашиа был известным грузинским общественным деятелем, педагогом и этнографом.

В семье Нико Джанашиа и его супруги — Елены Муджири, верной подруги и помощницы Нико в его деятельности, маленький Симон получил основательное первоначальное образование, проникся любовью к родной стране, к ее прошлому и настоящему, к ее культуре.

Молодые годы Симон Джанашиа провел преимущественно в Абхазии, где вел педагогическую деятельность его отец.

В 1918 г. С. Джанашиа окончил Сухумское реальное училище. Здесь он отличался особой прилежностью, проявлял большой интерес к истории Грузии, грузинской, русской и европейской художественной литературе, знакомился с философской и политической литературой.

С. Джанашиа начал свой жизненный путь тогда, когда, с одной стороны, распространяется марксистское мировоззрение, постепенно овладевающее умами передовой грузинской молодежи, а с другой — в основанном по инициативе И. А. Джавахишвили в Тбилиси грузинском университете, здешняя молодежь получает возможность приобщаться к высшему образованию в самой Грузии.

С. Джанашиа был студентом первого приема Тбилисского университета. Он поступил в университет будучи вполне зрелым, теоретически подготовленным молодым человеком, с широкими интересами. К этому времени он уже освоил марксистскую теорию, был знаком с сочинениями классиков марксизма, с работами грузинских марксистов.

Что же касается широты научных интересов С. Джанашиа, о них можно судить по тому факту, что его одинаково интересовали как историческая, так и языковедческая науки и он окончил университет по обоим специальностям.

В грузинском университете С. Джанашиа прошел основательную историко-филологическую и языковедческую школу под руководством видных грузинских ученых И. А. Джавахишвили, И. А. Кипшидзе, А. Г. Шанидзе, Г. С. Ахвledиани и других; он проявил незаурядную способность к научной работе. По рекомендации И. А. Джавахишвили С. Джанашиа был оставлен при университете для подготовки к профессорской деятельности. Он успешно сдал докторские экзамены и в 1926 г. был приглашен в университет для чтения курсов абхазского языка и исторического источниковедения. Таким образом, С. Джанашиа был одним из первых выпускников университета, кому довелось вести здесь же преподавательскую работу. В 1930 г. С. Джанашиа был избран доцентом, а в 1935 г. профессором. С этого же года он назначается заведующим кафедрой истории Грузии. В 1938 г. С. Джанашиа в университете же защитил докторскую диссертацию.

Симон Джанашиа, как воспитанный на традициях грузинской историко-филологической школы ученый, первоначально в качестве заведующего кафедрой истории Грузии, а затем активного участника создания Академии наук Грузии и одного из ее руководителей, являлся вдохновителем грузинской советской исторической науки и вообще гуманистических наук.

С. Джанашиа смог отстоять научные традиции школы И. А. Джавахишвили в принципиальной борьбе с вульгарным социологизмом, нигилизмом и поднять грузинскую историческую науку на новую ступень.

Молодая советская историческая наука приняла от предыдущих поколений богатое историографическое наследие, однако перед ней стояла большая и почетная задача — освещение исторического прошлого Грузии с историко-материалистической точки зрения. Выполнение этой задачи в отношении древней истории Грузии и раннего средневековья вышло на долю Симона Джанашиа. Вооруженный марксистской методологией исследователь, естественно, первым долгом берется за решение вопроса о смене на территории Грузии общественно-экономических формаций, изучает классовую структуру общества, прослеживает процессы зарождения в недрах первобытно-общинного строя классового общества и развития государства, устанавливает их хронологические рамки, показывает этапы общественного развития начиная от родового строя вплоть до победы феодализма. Этим проблемам первоначально (1932—1933 гг.) были посвящены изданные в виде отдельных «выпусков» курса истории Грузии труды: «Родовой строй у грузинских племен», «К истории феодальных отношений в Грузии» и «Ранний феодализм». Впоследствии издаются две монографии С. Джанашиа по тем же проблемам: «Феодальная революция в Грузии. Очерк истории происхождения феодализма в Грузии» (1935 г.) и «Грузия на пути ранней феодализации» (1937 г.). Эти монографии, в которых суммированы результаты работы С. Джанашиа по данной проблеме, являются докторской диссертацией автора.

Опираясь на языковые данные и сведения письменных источников Симон Джанашиа убедительно показал, что грузинские племена, как и многие другие народы, прошли ступень родового строя, в недрах которого зародилось классовое общество.

При исследовании проблемы возникновения у грузинских племен общественных классов и государства Симон Джанашиа искусно использует археологические материалы и данные письменных источников (древневосточных, античной эпохи), свидетельствующие о существовании с древнейших времен развитого общества и государственной организации на

территории Грузии. Эти сведения автор освещает под углом зрения марксистского положения, согласно которому первой формой эксплуатации человека человеком и разделения общества на классы было рабство, принявшее в ряде стран, в силу специфических условий, характер рабовладельческой общественно-экономической формации, как, напр., в Греции и Риме, а в других случаях перешедшее непосредственно в феодализм. «Насколько можно судить сегодня, — писал С. Джанашиа, — в Грузии имел место второй путь... Несмотря на особенно важное значение рабства в древнейшей истории грузинских племен, не видно, что-бы оно здесь сформировалось в цельную формацию. На смену родовому строю тут пришел феодализм» («Труды», II, стр. 131).

На основании детального анализа сведений древнегреческого географа Страбона о низменной части Иберии, С. Джанашиа заключал: «Несомненно, что перед нами своеобразное классовое (разумеется пока еще не сформировавшееся и не развитое) общество» (Там же, стр. 147). Аналогичное положение усматривал автор и в Западной Грузии—в Колхиде.

Помимо сведений Страбона, С. Джанашиа исходит и из других показателей, в частности, из уровня экономического развития страны, пумизматических фактов, свидетельствующих о широких внутренних и внешних торговых сношениях и заключает: «Все вышесказанное дает нам основание утверждать, что довольно рано, в особенности же с IV века до н. э. в жизни проживавших в низменности грузинских племен должны были произойти значительные изменения. Способ материального производства представляется нам настолько развитым, что его никак нельзя уместить в рамки производственных отношений старого родового строя... К началу нашего летоисчисления эти рамки уже разорваны и перед нами уже вырисовывается картина новых общественных отношений». (Труды, II, стр. 128).

Так писал С. Джанашиа еще в 1932 г. В дальнейшем он углубил работу по изучению общества страбоновской Иберии, в частности, в направлении определения места и роли в общественно-политической жизни страны упоминаемых Страбо-

ном различных общественных групп («генос» — род) Иберии — «царского рода», «жрецов», «свободных производителей—воинов» и «царских рабов». «Это общество переходного типа, — писал С. Джанашиа в 1936 г., — Тут различные способы производства борются друг с другом. Первоначальная дифференциация дала господствующую группу жрецов, относившуюся к рабовладельческому классу, форма политического господства которого носила определенный теократический характер. Однако, рабовладельческий способ производства, представляющий собой основание для господства жрецов, не получил, повидимому, в Грузии такого широкого характера, чтобы стать фундаментом всей общественной жизни, как это случилось, скажем, в Риме и Греции. Одна часть родового общества («третий род» — свободные производители — воины) долго, до окончательной победы феодальных отношений, сохраняла некоторую экономическую независимость и часть своих старых политических прав. Сравнительно слабо, кое-где, и в этом слое встречаем применение рабского труда, в социальной и политической сфере — остатки родового строя, однако, большая часть этого слоя, по крайней мере в экономическом отношении, состояла из мелких производителей — собственников. Позднее всех в этом обществе зарождается феодальный способ производства, который постепенно противопоставляется рабовладельческому». (Труды, I, стр. 170).

Одновременно С. Джанашиа исследует и характер государственного строя. Еще в 1932 г. он касаясь вопроса о возникновении царской власти писал, что в Грузии в результате широкого применения в храмовом хозяйстве рабского труда, «возникла необходимость создания такого аппарата, который смог бы держать в повиновении многочисленных храмовых рабов. Возникает царская власть и государство и нам представляется таким образом, что царская власть у грузинских племен возникла преимущественно на основании необходимости защиты интересов рабовладельцев» (Труды, II, стр. 164—165).

Позднее, в учебнике по истории Грузии, С. Джанашиа уточняет этот тезис. Перечисляя основные сословно-кастовые

группы низменной части Иберии времен Страбона (царь и его родичи, жрецы, свободные люди и простонародье, обслуживающее царский дом), С. Джанашия упоминает и рабов, отмечая при этом: «Самым богатым человеком считался тот, у кого было больше всего рабов. Крупнейшими рабовладельцами были царь и жрецы, они же являлись и истинными хозяевами и властителями страны. В силу этого общество античной Картли мы считаем рабовладельческим.

Таким же был, в основном, общественный строй и на Колхидской низменности» (Ист. Грузии, 1946, стр. 74).

В изучении развития и характера грузинской государственности большую роль сыграли результаты развернутых во второй половине 30-х и начале 40-х годов археологических работ, в особенности же раскопок на территории Мцхета, которые наглядно показали высокоразвитый классовый характер грузинского общества того времени.

